განკარგულება:**g-27. 27232074**
თარიღი:**26/07/2023**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 37

26 ივლისი 2023 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ალექსი ღარიბაშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის პირველი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, ალექსი ღარიბაშვილს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, **2 (ორი)** წლის ვადით სარგებლობაში გადასცეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულიუძრავი ქონება, სოფელ გულგულაში მდებარე 920 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.09.39.002) და მასზე განთავსებული 270.3 კვ.მ. შენობა-ნაგებობა.

2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქალაქი თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. N41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი